საქართველო, თბილისი

სანოტარო აქტი

ორიათასოცდახუთი წლის სამ დეკემბერს მე, ნოტარიუს ელისო ყურაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე, ქ. თბილისი, ც.დადიანის ქ. N 32, მომმართა ქალბატონმა **ციცინო კალმახელიძემ**, რომელმაც მოითხოვა ბატონ **ზურიკო თენაძისათვის** მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე მომმართა ნამდვილად ქალბატონმა **ციცინო კალმახელიძემ**, დაბადებულმა 12.10.1950 წელს თბილისში, პირადი N 01020004524, რეგისტრირებული მისამართზე ქალაქი თბილისი, ლევან თიგიშვილის ქუჩა, N 4.

მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე **ციცინო კალმახელიძეს** და განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანადასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათასოცდახუთი წლის სამ დეკემბერს მე, **ციცინო კალმახელიძემ, ზურიკო თენაძეს**, დაბადებულს 11.07.1952 წელს გორი, ფლავისმაწში, პირადი N 59001010464, მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილებანი:

გააფორმოს ჩემი სახელით მემკვიდრეობა ნებისმიერი მამკვიდრებლის ნებისმიერ ქონებაზე. იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში, გამგეობაში, საკრებულოში, სსგს -ს სამსახურებში, არქივებში, ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ ორგანიზაცია - დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, დააზუსტოს ფართები უძრავ ნივთში, შეიტანოს ცვლილება და/ან შესწორება უძრავი ნივთის სარეგისტრაციო მონაცემებში, მოწმობებში, მიიღოს განმეორებითი მოწმობები, გააკეთოს განცხადებები, მიიღოს სამკვიდრო მოწმობა, საკუთრების მოწმობა, მოახდინოს ნებისმიერი უძრავი ქონების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოებში, წარადგინოს და მიიღოს ცნობა, ინფორმაცია, დოკუმენტი. მოაწეროს ხელი ჩემი სახელით საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილი პირი იცავს მიმნდობის ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს: ამ მიზნით მინდობილი პირი მიმნდობს წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სისხლის, სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მიმნდობის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და/ან დაიბრუნოს გადახდილი სახ. ბაჟის თანხა, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვა დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარმოადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრება საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების მოცულობა, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, დაამთავროს საქმე მორიგებით. აწარმოოს სააღსრულებო საქმეები. სასამართლოდან მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, სააღსრულებო ფურცელი, საქმიანი დოკუმენტი და ა.შ.., ასევე აღსრულების ეროვნულ ბიუროში და/ან კერძო აღმასრულებელთან წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისას.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2028 წლის 03 დეკემბრის ჩათვლით.

მიმნდობმა გადაიხადა 23.00 ლარი, აქედან სანოტარო მომსახურეობის საზღაური 18.00 ლარი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, ასევე სარეგისტრაციო საფასური 5.00 ლარი, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ ელისო ყურაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

40133984444925

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251649648

რეგისტრაციის თარიღი

03.12.2025 წ

ნოტარიუსი: ელისო ყურაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N32.
ტელეფონი: 954897 მობ: 599508785

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18